# სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა
გამოდის 1957 წლიდან
№5 (283) მაისი, 2015 წ. www.tsmu.edu




## ირაკლი ღარიბაშვილი,
**საქართველოს პრემიერ-მინისტრი**

მისასალმებელია პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გახსნა. გასული 9 წლის მანძილზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა მძიმე დანაკარგი განიცადა – მას რამდენიმე კლინიკური ბაზა და სხვა ინფრასტრუქტურული ერთეული ჩამოართვეს... პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა საქართველოს მთავრობის და სამედიცინო უნივერსიტეტის ერთობლივი 25 მილიონიანი პროექტია, საიდანაც დღეს 20 მილიონია ათვისებული. დახარჯულ თანხაში 5 მილიონი საქართველოს ბიუჯეტის წილია.

ეს ძალზე მნიშვნელოვანი პროექტია – კლინიკაში 600-ზე მეტი ადამიანი დასაქმდება. სტუდენტებს და რეზიდენტებს კი თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების ათვისების უნიკალური საშუალება მიეცემათ. მადლობა ამისთვის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს, ხელმძღვანელობას და ყველა იმ ადამიანს, ვინც მონაწილეობა მიიღო პროექტის განხორციელებაში.



## თამარ სანიკიძე,
**საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრი**

საუნივერსიტეტო კლინიკა უზრუნველყოფს სტუდენტთა განათლების დონის ამაღლებას, პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენას და კლინიკური გამოცდილების მიღებას, რაც მნიშვნელოვანია კონკურენტუნარიანი პროფესიონალის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.






## დავით სერგეენკო,
**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრი**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკაში მზადებას გაივლის და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს დაეუფლება 6000-ზე მეტი ქართველი, 2000-მდე უცხოელი სტუდენტი და ასობით რეზიდენტი. დასაქმდება 600-ზე მეტი სპეციალისტი. თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მომსახურებით უზრუნველყოფს არა მარტო თბილისის, არამედ – მთლიანად საქართველოს მოსახლეობას.



## ზურაბ ვადაჭკორია,
**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი**

კლინიკაში არის ყველა პირობა თანამედროვე კლინიკური და აკადემიური საქმიანობის, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კლინიკური, ეპიდემიოლოგიური და ინტერდისციპლინური კვლევების შესრულებისათვის, რაც საუნივერსიტეტო განათლების ორგანული კომპონენტია.

# ჩვენი შრომა და ძალისხმევა წარმატებით დასრულდა

**პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია,**
**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი**



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ძირითადი და ყველაზე მიმზიდველი უმაღლესი სამედიცინო განათლების კერაა საქართველოში. უმაღლესი სამედიცინო განათლების ისტორია საქართველოში 100 წელს უახლოვდება. და ეს, რეალურად, სამედიცინო უნივერსიტეტის განვითარების ისტორიაა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი (1918-1930), თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (1930-1992), თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (1992-დღემდე) – ეს ერთი, ტრადიციული და მძლავრი უმაღლესი სასწავლებლის, ერთი ორგანიზმის – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის – განვითარების ეტაპებია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი სრულად აცნობიერებს საკუთარ მისიას ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბების და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფაში ჩართულობის თვალსაზრისით. ამიტომაცაა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლება, კვლევა და პროფესიული საქმიანობა მედიცინის, სტომატოლოგიის, ფარმაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის, საექთნო და საბებიო საქმის მიმართულებებით ურთიერთისგან განუყოფელია.

დიპლომამდელი, დიპლომისშემდგომი და უწყვეტი პროფესიული განათლების, სამაგისტრო და სადოქტორო, უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებული მიმდინარეობა მიმზიდველს ხდის სამედიცინო უნივერსიტეტს არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს ოთხი ათეული ქვეყნის ახალგაზრდებისთვის.

სამედიცინო განათლების გამოცდილი და წარმატებული სტანდარტების და მიდგომების რეალიზება სამედიცინო უნივერსიტეტში უზრუნველყოფს ტრადიციული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას; ამასთან, ჩვენს უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობა, საკუთარი მრავალწლიანი აკადემიური გამოცდილება და სამედიცინო სერვისისადმი თანამედროვე გამოწვევების ღირსეულად დაძლევის ამოცანა თამამი, კრეაციული ნაბიჯების გადადგმისკენ გვიბიძგებს.

ერთ-ერთი სერიოზული, უმაღლესი სამედიცინო განათლებისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე სიახლე, რომელიც, წლეულს, გაზაფხულზე, შედგა, სამედიცინო უნივერსიტეტში პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გახსნაა; ამ მნიშვნელოვანი ნაბიჯით **გივი ჟვანიას** სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკას, **აპოლონ ურუშაძის** სახელობის სტომატოლოგიურ კლინიკას და ორ სტომატოლოგიურ პოლიკლინიკას შეემატა სამედიცინო უნივერსიტეტის კიდევ ერთი კლინიკური ბაზა დიპლომამდელი, დიპლომის შემდგომი და უწყვეტი საგანმანათლებლო პროგრამების სათანადო დონეზე განხორციელებისთვის, რითაც ჩვენი პროფესურისა და სტუდენტებისთვის შეივსო გარკვეული დეფიციტი ეფექტური კლინიკური სწავლების პროცესში.

სასიხარულოა, რომ ჩვენი დიდი და მეგობრული საუნივერსიტეტო ოჯახის თითოეული წევრის – პროფესორისა და სტუდენტის, ადმინისტრაციის, უნივერსიტეტის პარტნიორებისა და მეგობრების შრომა და ძალისხმევა წარმატებით დასრულდა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა – ეს არის 185 საწოლზე გაშლილი თანამედროვე, მაღალი სტანდარტის სადიაგნოსტიკო, სამკურნალო და სარეაბილიტაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი სტაციონარი, სადაც მოღვაწეობენ საქართველოსა და უცხოეთში აღიარებული პროფესორები, მედიცინის სხვადასხვა სფეროს თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომლებიც, მომავალი სამედიცინო კადრის აღზრდის პარალელურად, მაღალკვალიფიციურ საექიმო მომსახურებას უწევენ საქართველოს მოსახლეობას. კლინიკაში ექვსასზე მეტი თანამშრომელია. კლინიკა სამედიცინო უნივერსიტეტის ორ ათეულამდე სასწავლო დეპარტმენტის კლინიკური ბაზაა; ეს კი ნიშნავს, რომ აქ მაღალხარისხიანი დიპლომამდელი და დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების მიღების პარალელურად, სტუდენტები და რეზიდენტები ორგანულად იქნებიან ჩართულნი სამედიცინო საქმიანობაში. ასეთი ინტეგრაცია პროფესიული დახელოვნებისკენ მიმავალი საყოველთაოდ აპრობირებული უტყუარი და საიმედო გზაა.

კლინიკაში არის ყველა პირობა თანამედროვე კლინიკური და აკადემიური საქმიანობის, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კლინიკური, ეპიდემიოლოგიური და ინტერდისციპლინური კვლევების შესრულებისათვის, რაც საუნივერსიტეტო განათლების ორგანული კომპონენტია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალს, რეზიდენტებს, ექიმებს, სამედიცინო სერვისის ყველა სფეროს წარმომადგენელს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ყველა გულშემატკივარს ვულოცავ მაღალხარისხიანი, კონკურენტული უმაღლესი სამედიცინო განათლების გზაზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ გადადგმულ კიდევ ერთ სერიოზულ ნაბიჯს!

# არაფერია ხელშემშლელი თვალსაჩინო პოზიციის დასაკავებლად

**პროფესორი ნოდარ ლომიძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის კლინიკური დირექტორი, ქირურგიულ სნეულებათა მიმართულების ხელმძღვანელი**

მრავალი წლის მანძილზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის საკუთარი კლინიკური ბაზა ოცნების სფერო იყო. ერთ დღესაც არ შენელებულა თსსუ-ის ხელმძღვანელობის მხრიდან ზრუნვა ამ ოცნების განსახორციელებლად. ამიტომაც, 2015 წელს, სამედიცინო უნივერსიტეტისთვის ამ ოცნების ფრთაშესხმის წლად ვთვლი და აღტაცებული განწყობით ვულოცავ როგორც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, ასევე, თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის მთელ კოლექტივს ამ მნიშვნელოვან სასწავლო, სამეცნიერო და სამკურნალო საქმეებში წარმატებებზე ორიენტირებულ უდიდეს მოვლენას.

ვულოცავ სტუდენტებს, რეზიდენტებს, სამედიცინო პერსონალს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გახსნას. ვულოცავ ჩვენს პაციენტებს, რომელთა რაოდენობა დღითიდღე საგრძნობლად მატულობს, ასეთი მრავალპროფილური, კარგად აღჭურვილი საავადმყოფოს ფუნქციობას, რადგან აქ მათ შესაძლებლობა აქვთ ყველა მიმართულებით, უახლესი სამედიცინო აპარატურის დახმარებით ჩაიტარონ სადიაგნოსტიკო კვლევა და შესაბამისი მკურნალობით აღიდგინონ ჯანმრთელობა. ნამდვილად არ ველოდი პაციენტთა ასეთ რაოდენობას კლინიკის გახსნიდან ამ მოკლე პერიოდში, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ავადმყოფების უმეტესობა ძირითადად მძიმე ავადმყოფების ხარჯზეა, რაც დამახასიათებელია საუნივერსიტეტო კლინიკებისთვის თავისი სტატუსიდან გამომდინარე. თითქმის გავსებულია გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახური (ემერჯენსი), რეანიმაცია, ინტენსიური თერაპიის და ოპერაციის შემდგომი პალატა. ჩატარდა ყველა ტიპის ოპერაცია როგორც გადაუდებელი, ისე გეგმური წესით. სახეზეა ჩასატარებელ ოპერაციათა ინტენსიური ზრდა ყველა მიმართულებით მეტად გეგმური ოპერაციების ხარჯზე. შეიძლება ითქვას, რომ მკურნალობის თანამედროვე დონე დიდი ალბათობით იძლევა პაციენტთა გამოჯანმრთელების გარანტიას.

კლინიკის უპირატესობა იმაშიცაა, რომ სასწავლო ოთახებსა და პაციენტთა პალატებს მხოლოდ დერეფანი ჰყოფს, ანუ სტუდენტებს, თეორიული მეცადინეობების პარალელურად, საშუალება ეძლევათ ცოდნა პრაქტიკულად განიმტკიცონ, რისი „ფუფუნება" მათ ადრე არ ჰქონდათ.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ საოპერაციო განათების სისტემაში ჩამონტაჟებულია ვიდეოკამერა, რომლის საშუალებითაც ხდება ოპერაციების მიმდინარეობის ტრანსლაცია გახმოვანებით. სტუდენტებს, რეზიდენტებს, ექიმებს სასწავლო აუდიტორიებსა და კლინიკის პერსონალურ კომპიუტერებში შეუძლიათ იხილონ ოპერაციის მსვლელობა, ბევრად უკეთესად და უფრო კომფორტულად, ვიდრე ოპერაციაზე დასწრების შემთხვევაში.



რაც მთავარი და ამოსავალია როგორც სასწავლო, სამეცნიერო, ისე მკურნალობის მაღალეფექტურობის თვალსაზრისით, კლინიკა დაკომპლექტებულია ქვეყნის წამყვანი სამედიცინო კადრებით, იმ კათედრათა/მიმართულებათა ხელმძღვანელებით და მათი აღზრდილებით, რომლებიც წლების მანძილზე მოღვაწეობდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სხვადასხვა კლინიკურ ბაზაზე და ცენტრალურ რესპუბლიკურ საავადმყოფოში. ამიტომაც ჩვენს კლინიკაში 20-მდე მიმართულებაა, სადაც მოღვაწეობენ პროფესიონალი და მაღალკვალიფიციური ექიმები, წარმატებული უმცროსი ექიმები/ რეზიდენტები და მაღალი კურსის სტუდენტები, რომლებიც დაკავებული არიან კლინიკური საქმიანობით, მათ რეკომენდაცია გაუწიეს მიმართულებების ხელმძღვანელებმა. უნდა აღინიშნოს კარგად მომზადებული და ტრენინგგავლილი საშუალო სამედიცინო პერსონალი. უმრავლესობა მუშაობდა გადაუდებელი მედიცინის და რეანიმაციულ განყოფილებებში და, მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა, საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვთ მიღებული.

თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ქირურგიულ სნეულებათა მიმართულება ყოფილი ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრაა, შემდგომ – ქირურგიულ სნეულებათა №1 კათედრა, ამჟამად – ქირურგიულ სნეულებათა მიმართულება. ამ კათედრის დამაარსებელი იყო საქართველოში ქირურგიის ფუძემდებელი, აკადემიკოსი **გრ. მუხაძე**, შემდგომ ამ კათედრაზე მოღვაწეობდნენ და მას ხელმძღვანელობდნენ ცნობილი ქირურგები, მეცნიერები და აკადემიკოსები: **კ. ერისთავი, მ. კომახიძე**; პროფესორები: **ი. მგალობლიშვილი, თ. ახმეტელი**. 2002 წელს მოხდა ქირურგიულ სნეულებათა №1 და №2 (ყოფილი ქირურგიის კათედრა სუბორდინატორებისთვის, კათედრის გამგე – პროფესორი **გ. ტატიშვილი**) კათედრათა გაერთიანება. 2006 წლიდან ქირურგიულ სნეულებათა №1 კათედრას ეწოდა ქირურგიულ სნეულებათა მიმართულება. 1995 წლიდან კათედრას/მიმართულებას სათავეში მე, პროფესორების: მ. კომახიძის, ი. მგალობლიშვილის და თ. ახმეტელის მოწაფე, ჩავუდექი. კათედრაზე/მიმართულებაზე გრძელდებოდა და გრძელდება დამკვიდრებული ტრადიციები. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ვითარდება გულმკერდის, მუცლის ღრუს, ენდოკრინული ქირურგიის, პროქტოლოგიის, ონკოლოგიის, ქირურგიული ინფექციის, სისხლძარღვთა და მიკროქირურგიის მიმართულებები. თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ქირურგიულ დეპარტამენტში, ზოგადქირურგიული მიმართულების გარდა, ფუნქციობს პროქტოლოგიის (ხელმძღვანელი, პროფესორი თ. აბულაძე), სისხლძარღვთა და მიკროქირურგიის (ხელმძღვანელი, მედ. დოქტ. ზ. ნონიკაშვილი) მიმართულებები. ქირურგიულ დეპარტამენტში კეთდება ყველა სახის და სირთულის ოპერაცია როგორც ღია წესით, ისე – ლაპაროსკოპული მიდგომით.

ამჟამად ქირურგიულ სნეულებათა მიმართულებაზე სწავლებას გადიან მედიცინის ფაკულტეტის VI კურსის ქართველი და უცხოელი სტუდენტები, ზოგადი ქირურგიის რეზიდენტები. მათ შექმნილი აქვთ ყველა პირობა მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებად ჩამოყალიბებისთვის.

კლინიკაში სამედიცინო დარგი ერთ ბირთვადაა შეკრული, ჰარმონიული, შესაშური თავგამოდება სუფევს, რაც გარანტია სამომავლო წარმატებებისა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი კლინიკა უახლესი ტექნოლოგიებით, კომფორტული პალატებით და კაბინეტებით, მაღალორგანიზებული სასწავლო, სამეცნიერო და კლინიკური საქმიანობით პასუხობს ყველა თანამედროვე მოთხოვნას, ანუ აკმაყოფილებს საუნივერსიტეტო კლინიკის საერთაშორისო სტანდარტებს და ამჟამად არაფერია ხელშემშლელი თვალსაჩინო პოზიციის დასაკავებლად.

# კლინიკის გახსნის დღეს...













# კლინიკას აქვს ამბიცია, იყოს პირველი არა მარტო დედაქალაქში, არამედ ქვეყნის მასშტაბით

**ლაშა აბესაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი**

2011 წლის დასაწყისია ის ისტორიული თარიღი, როდესაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს საკუთარ მმართველობაში გადაეცა ეს კლინიკა **ალ. ალადაშვილის** სახელობის კლინიკის სახელწოდებით. ამავე წლის 26 თებერვალს კლინიკამ ფუნქციონირება დაიწყო, მაგრამ ყველაფერი: ინფრასტრუქტურა, ადმინისტრაციული კორპუსი ფიზიკურად და მორალურად ამორტიზებული, მოშლილი და გაპარტახებული დაგვხვდა, ხოლო სამედიცინო აღჭურვილობა (აპარატურა და მოწყობილობები) მეტად მწირი იყო. ალბათ გმირობის ტოლფასად შეიძლება ჩაითვალოს, ხელი რომ არ ჩავიქნიეთ ყოველივე ამის შემხედვარეებმა. გავაანალიზეთ რა მდგომარეობა, უკანდახევა არ ეგებოდა. თსსუ-ის ხელმძღვანელობასთან ერთად მივიღეთ გადაწყვეტილება, დროებით შეგვეჩერებინა კლინიკის ფუნქციონირება და დაგვეწყო მისი სრული რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროცესი. ეს როგორც ფინანსურად, ისე ფიზიკურად, ნამდვილად დიდ ძალისხმევასთან იყო დაკავშირებული. გავბედეთ და შევეჭიდეთ ობიექტურ თუ სუბიექტურ ურთულეს პრობლემებს როგორც რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის, ისე კლინიკის აღჭურვის თვალსაზრისით. ამას კი 3 წელიწადი დასჭირდა...



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის, აკადემიური თუ ტექნიკური პერსონალის და ჩვენმა ერთობლივმა ძალისხმევამ, შეთანხმებულად მოქმედებამ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მნიშვნელოვანმა მხარდაჭერამ ყველა პრობლემა დაგვაძლევინა და 2015 წლის 25 მარტს კლინიკა საზეიმო ვითარებაში გაიხსნა... ეს, უდავოდ, უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო სამედიცინო უნივერსიტეტის არსებობის 85 წლის ისტორიაში. აღნიშნული პროექტი განხორციელდა თსსუ-ის ფინანსებით (80%) და განათლების სამინისტროს თანადაფინანსებით (20%).

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს გარკვეული გამოცდილება გააჩნდა კლინიკის რეაბილიტაციისა (2011 წლის ოქტომბერში გახსნა **გ. ჟვანიას** სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა), ჩვენი კლინიკის რეაბილიტაციის, სამედიცინო აპარატურით და მოწყობილობებით აღჭურვის პროცესი, მაინც უპრეცედენტო იყო თავისი მასშტაბით და დანიშნულებით, რადგან ამ კლინიკაში ბინა დაიდო თსსუ-ის 20-მდე მიმართულებამ (სასწავლო დეპარტამენტებმა). ეს კი ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ქვეყნის სამედიცინო საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები – მეცნიერ-პროფესორები – ახლა ამ კლინიკაში მოღვაწეობენ, თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას ახმარენ სტუდენტებს, რეზიდენტებს და, რა თქმა უნდა, პაციენტებს...

სტუდენტებს კი, რომლებიც აქამდე გაფანტულნი იყვნენ დედაქალაქის სხვადასხვა კლინიკაში, ახლა საშუალება ეძლევათ არა მარტო მოისმინონ თვალსაჩინო პროფესორთა ლექციები, არამედ, პარალელურ რეჟიმში, აქტიურად ჩაერთონ კლინიკის პრაქტიკულ საქმიანობაშიც. სწორედ, სასწავლო, სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობის ერთდროულად წარმატებით განხორციელება გამოარჩევს საუნივერსიტეტო კლინიკას სხვა კლინიკებისგან.

როგორც აღვნიშნეთ, კლინიკის მომავალი წარმატებების გარანტიას იძლევა მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის (ცნობილი პროფესორების, საზღვარგარეთ პრაქტიკაგავლილი ექიმების), დოქტორანტების, რეზიდენტების და სტუდენტების ჩართვა მის ყოველდღიურ საქმიანობაში, ასევე, სამეცნიერო კვლევა, ახალი დიაგნოსტიკური საშუალებების, სამკურნალო პრეპარატების კლინიკური კვლევის განხორციელება, თანამედროვე სამედიცინო ხელსაწყოების (აპარატურის) აპრობაცია და დანერგვა; უცხოელ პარტნიორებთან ერთად, საერთაშორისო გრანტების საფუძველზე, სამეცნიერო კვლევითი პროექტების წარმართვა და ა.შ.

კლინიკაში ამოქმედდა თანამედროვე რადიოლოგიური დიაგნოსტიკის სამსახური და მიმღებ-ამბულატორიული სერვისი. წარმატებით ფუნქციონირებს კლინიკის ლაბორატორია. აქედან გამომდინარე, კლინიკის პაციენტები უზრუნველყოფილნი არიან ევროპული დონის სრული სამედიცინო სერვისებით.

კლინიკა 185 საწოლზეა გაშლილი და დასაქმებულია 600-ზე მეტი თანამშრომელი.

უახლეს პერიოდში კლინიკას აქვს ამბიცია, გახდეს ლიდერი არა მარტო დედაქალაქში, არამედ ჩვენი ქვეყნის მასშტაბითაც.

როგორც კლინიკის ხელმძღვანელმა, მინდა გულწრფელი მადლიერება გამოვხატო ჩვენი ალმა მატერის – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის, აკადემიური და ტექნიკური პერსონალის მიმართ, რომელთაგანაც ყოველდღიურად ვგრძნობდით ფასდაუდებელ დახმარებას და მხარდაჭერას... დიდი მადლობა საქართველოს მეცნიერების და განათლების სამინისტროს, მინისტრს, ქალბატონ **თამარ სანიკიძეს**, თანადგომისა და დახმარებისთვის.

მომავალში გათვალისწინებულია დამატებითი სერვისების (კარდიოქირურგია, ხელოვნური თირკმელი) შემოღება, გაიზრდება საწოლთა რაოდენობა.

მობილიზებულნი ვართ იმისთვის, რომ ვიაროთ თანამედროვე მოთხოვნების კვალდაკვალ, ვიყოთ პირველები სამედიცინო მიღწევების აპრობაციასა და დანერგვაში.

ვითვალისწინებთ რა უკანასკნელ პერიოდში მთავრობის მიერ გატარებულ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დადებით შედეგებს, ჩვენი კლინიკა მოსახლეობისთვის მისაღებ ფასებში განახორციელებს სამედიცინო სერვისების მიწოდებას. ასევე, ვთანამშრომლობთ საქართველოში მოქმედ ყველა სადაზღვევო კომპანიასთან.

ყველაზე რთული ეტაპი უკან დარჩა (მათ შორის, ეტაპი ჩემი ცხოვრების კარიერული ნაწილისა)...

ამ დიდ მონაპოვარს ახლა განვითარება და მუდმივი სრულყოფა სჭირდება, რასაც კლინიკურ დირექტორთან, პროფესორ **ნოდარ ლომიძესთან** და თითოეულ თანამშრომელთან ერთად, შეთანხმებული და უღალატო შრომით უცილობლად მივაღწევთ!

*შინაგანი მედიცინა*

# საკვანძო კლინიკა მედიცინის განვითარებაში

**პროფესორი კახაბერ ჭელიძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის თერაპიის და კარდიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, თსსუ-ის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის ზოგადი თერაპიის მიმართულების ხელმძღვანელი, თსსუ-ის ვიცე-რექტორი**



გასული დეკადის განმავლობაში ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე ძვრებმა მნიშვნელოვნად დააზარალა მედიცინის ისეთი ფუნდამენტური დარგის სწავლების საკითხი, როგორიცაა შინაგანი მედიცინა. ყურადღების ფოკუსირებამ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მიმართულებით საბაზრო ეკონომიკის პლატფორმაზე გადასული სტაციონარული სამკურნალო დაწესებულებების ინტერესის სფეროში მხოლოდ გადაუდებელი დახმარების საჭიროების მქონე პაციენტი დატოვა, ხოლო ქრონიკული პაციენტების მართვა პირველადი ჯანდაცვის პრეროგატივად იქცა. ბუნებრივია, რომ აღნიშნულმა კლინიკათა აბსოლუტური უმრავლესობის სტრუქტურიდან თერაპიული განყოფილებების გაქრობა გამოიწვია.

სასწავლო ბაზების არარსებობამ კატასტროფის წინაშე დააყენა შინაგანი მედიცინის და, ზოგადად, მედიცინის სწავლებაც. ამდენად, გადაჭარბებული არ იქნება, თუ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ამოქმედებას ჩვენი უნივერსიტეტისთვის ეპოქალურ მოვლენად შევაფასებთ. თუ გავითვალისწინებთ თსსუ-ის მასშტაბებს და მის ლიდერულ პოზიციას უმაღლეს სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის, პირველ საუნივერსიტეტო კლინიკას საკვანძო როლი აკისრია ზოგადად ქართული მედიცინის განვითარების საქმეშიც.

კლინიკაში განთავსებულ დეპარტამენტთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თერაპიისა და კარდიოლოგიის დეპარტამენტს, რომელიც მოიცავს ინტენსიური თერაპიის, თერაპიის, კარდიოლოგიის და ინტერვენციული კარდიოლოგიის ქვეერთეულებს.

30 საწოლზე გაშლილი დეპარტამენტის ინფრასტრუქტურული, ტექნიკური და ადამიანური რესურსი ყველა პირობას ქმნის დიაგნოსტიკურ-კლინიკური, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის თანამედროვე სტანდარტებით წარმართვისთვის.

აკადემიური პერსონალი და კონკურსის წესით შერჩეული უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე ექიმები, საკუთარი ცოდნის, უახლესი სამედიცინო აპარატურისა და აღჭურვილობის გამოყენებით, უზრუნველყოფენ ფართო სპექტრის თერაპიული და კარდიოლოგიური პათოლოგიების დიაგნოსტიკას, გადაუდებელ დახმარებას, ქრონიკული მდგომარეობების მართვას. ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ დეპარტამენტის ადამიანური რესურსის კლინიკური საქმიანობა განუყოფელია საგანმანათლებლო საქმიანობისგან, რაც დიპლომამდელი განათლების სტუდენტებს და რეზიდენტებს აძლევს კონკურენტუნარიან პროფესიონალებად ჩამოყალიბების უნიკალურ შანსს.

უახლოეს მომავალში, თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის თერაპიისა და კარდიოლოგიის დეპარტამენტში, იგეგმება კლინიკური არიტმოლოგიის განვითარება, რაც კიდევ უფრო გააფართოებს დეპარტამენტის კლინიკურ, აკადემიურ და სამეცნიერო პოტენციალს.

# მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა

**გია აბესაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი**



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის უმნიშვნელოვანესია გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური და პირველი საუნივერსიტეტო კლინიკების, როგორც სასწავლო, სამეცნიერო და კლინიკური ბაზების, სრულყოფილი რეორგანიზაცია.

წლების მანძილზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მთავარი პრობლემა, სწორედ, საკუთარი ბაზების უქონლობა იყო. უდიდესი ძალისხმევის და ზრუნვის მიუხედავად, რათა სამედიცინო კადრების მომზადების ერთადერთ უძველეს და ძირითად კერას ჰქონოდა საკუთარი კლინიკური ბაზა, არა თუ მიაღწია მიზანს, არამედ რამდენიმე კლინიკაც ჩამოერთვა. აკადემიური პროცესის სრულყოფილად წარმართვისთვის, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გამოსავალი იპოვა დედაქალაქში მოქმედ კლინიკებთან მემორანდუმების გაფორმების მეშვეობით, რამაც დიდი როლი ითამაშა სასწავლო, სამეცნიერო თუ სამკურნალო პროცესის ნორმალურად ფუნქციობისთვის, რის გამოც მადლობელი ვართ მათი, ვინც დახმარება გაგვიწია, დაუთმო საკუთარი ბაზა ჩვენს სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, მაგრამ გარკვეული დაბრკოლება იყო კლინიკური დეპარტამენტების დაქსაქსვაში...

ახლა მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა, პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში უკვე განლაგდა და თავი ერთად მოიყარა 20-მდე კლინიკურმა დეპარტამენტმა და მიმართულებამ, რაც გააუმჯობესებს თსსუ-ის აკადემიურ პროცესს; სტუდენტებისთვის, რეზიდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის შექმნილი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გარემო დიდად გაადვილებს მათ სამეცნიერო და კლინიკურ საქმიანობას.

*გადაუდებელი მედიცინის სამსახური-Emergency*

# აქ სიკვდილს ებრძვიან და ამარცხებენ კიდეც...

შესვლისთანავე იგრძნობა განყოფილებისთვის შესაფერი გარემო: თეთრხალათიანების სიმრავლე, რომლებიც ამერიკულ ტელესერიალ „სასწრაფოს“ გმირებისთვის დამახასიათებელი ემოციური ჟესტიკულაციით და სწრაფი მოძრაობით გადაადგილდებიან, ერთმანეთს ხმამაღლა უხმობენ, აფრთხილებენ, ეხმიანებიან: ვილაცას უნდა უშველონ, დააიმედონ, გადაარჩინონ! და, რაც მთავარია, ამას ყველაფერს სიყვარულით აკეთებენ: ისინი ხომ ექიმები არიან... ასე საჭირო და ჰუმანური პროფესიის ადამიანები!

ჩვენი რესპონდენტი, გადაუდებელი მედიცინის – ემერჯენსის – მიმართულების ხელმძღვანელი, **გიორგი ბერიაშვილია**. იგი, უპირველესად, საუნივერსიტეტო კლინიკის გახსნის დიდ მნიშვნელობაზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ ეს ერთნაირად სასიხარულო ფაქტია როგორც მოსახლეობის, ისე – სტუდენტების, რეზიდენტებისა და კლინიკაში დასაქმებული მედპერსონალისთვის.

გადაუდებელი მედიცინის მიმართულება, – აღნიშნავს გიორგი, – დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური მედპერსონალით, რომელთა შორის ბევრი ევროპაში მუშაობის გამოცდილებითაა გამორჩეული; ცალკე აღნიშვნის ღირსია მაღალტექნოლოგიური სამედიცინო დიაგნოსტიკისა და სხვადასხვა სახის კვლევისთვის საჭირო აპარატურა, რომელიც სრულად პასუხობს თანამედროვეობის მოთხოვნებს.

კლინიკა და, ბუნებრივია, გადაუდებელი მედიცინის მიმართულება, 24 საათიანი რეჟიმით მუშაობს. უკვე საგრძნობია, რომ მოთხოვნა საუნივერსიტეტო კლინიკისადმი დიდია, რასაც ადასტურებს პაციენტთა ნაკადის დინება არა მხოლოდ თბილისიდან, არამედ – რეგიონებიდანაც. პაციენტები შემოსვლისთანავე ნაწილდებიან შესაბამის განყოფილებებში. ავადმყოფთა უმეტესობა, გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების შემდეგ, უკვე განკურნებული, ბინაზე ეწერება, ნაწილი – სტაციონარში თავსდება. კლინიკა ჩართულია საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამაში,



რომლის ფარგლებში შესაძლებელია პაციენტებისთვის სხვადასხვა სახის უფასო სამედიცინო მომსახურების გაწევა; ასევე, თანამშრომლობს კერძო სადაზღვევო კომპანიებთან.

მაღალკვალიფიციურ ექიმებთან ერთად პაციენტების ჯანმრთელობაზე ზრუნვას არ იშურებენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რეზიდენტები და სტუდენტები, რომლებიც დასაქმებულნი არიან კლინიკაში შესაბამისი ანაზღაურებით. ისინი, თეორიული ცოდნის შეძენასთან ერთად, იმტკიცებენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს და კლინიკურ გამოცდილებას იღებენ: მონაწილეობენ პაციენტის გასინჯვისა და დიაგნოსტირების პროცესში, ესწრებიან კონსილიუმს მათი მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრის დროს, მონაწილეობას იღებენ კლინიკურ და სამეცნიერო კონფერენციებში, სადაც წარადგენენ მათთვის საინტერესო თემებს მედიცინის სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე და ა. შ.

ერთი სიტყვით, ალბათ არსად გუნდური პრინციპით მოქმედება ისე საჭირო და მნიშვნელოვანი არ არის, როგორც ჩვენთან, რადგან აქ ყველა ორიენტირებულია მთავარზე: ადამიანის სიცოცხლის გადარჩენასა და გამოჯანმრთელებაზე. და ჩვენც ვცდილობთ ცოდნა, გამოცდილება, ენერგია და ძალისხმევა არ დავიშუროთ ამ მიზნის მისაღწევად; ხშირად ვახერხებთ, ზოგჯერ – ვერა, თუმცა მთავარი სურვილი, პროფესიისა და ადამიანებისადმი სიყვარულია, რომელიც ყველა ჩვენგანს აერთიანებს...



***ჩვენი ახალგაზრდა რესპონდენტის პათოსი არა მხოლოდ შესამჩნევი, არამედ გადამდებია. საუბრიდან ირკვევა, რომ იგი 2008 წლის ომში გამოჩენილი მხედრული მამაცობისთვის ღირსების მედლის მფლობელია. ადამიანებისადმი მისი დახმარების სურვილით აღსავსე დამოკიდებულებაც თვალშისაცემი და გამოკვეთილია. თუმცა, საბედნიეროდ, აქ იგი გამონაკლისი არ არის; ისინი ჩვენ გვერდით არსებობენ, ჩვენი დროის გმირები, პროფესიონალები, ვინც სიკვდილს ებრძვიან და ხშირად ამარცხებენ... ალბათ ამიტომაც საუნივერსიტეტო კლინიკაში პაციენტთა დენადობა მზარდია, მედპერსონალი – მუდმივად მზადმყოფი მათ დასახმარებლად.***

რადიოლოგია

# მაღალტექნოლოგიური აპარატურა მაღალხარისხიანი კვლევებისთვის






თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რადიოლოგიის დეპარტამენტში ფუნქციობს რენტგენოლოგიური, ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის, კომპიუტერული და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის, ენდოსკოპიის განყოფილებები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ: პროფესორები **ოთარ ურუშაძე** და **ალექსანდრე მთვარაძე,** მედიცინის დოქტორები **გრიგოლ ნემსაძე** და **დავით მაღალაშვილი.**

ახალი საუნივერსიტეტო კლინიკა რადიოლოგიური დიაგნოსტიკისა და მაღალტექნოლოგიური სამედიცინო კვლევებისთვის აღჭურვილია საჭირო აპარატურით, რომლის გამოყენება სრული მოცულობით მიმდინარეობს.

ლაბორატორია

# მიზანი – მთელი დატვირთვით და ზუსტად

**ნინო გოგოხია, პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მედიცინის დოქტორი**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ლაბორატორია დაპროექტებულია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აქ წარმოდგენილია თითქმის ყველა კლინიკური კვლევისთვის საჭირო მიმართულება: ჰემატოლოგიური, ბიოქიმიური, იმუნოლოგიური, ბაქტერიოლოგიური, კოაგულაციური. მაღალი კლასის თანამედროვე აპარატურა კი საშუალებას იძლევა, კვლევები განხორციელდეს საერთაშორისო ნორმების მიხედვით.

ჩვენი ლაბორატორია ჩართულია გარე ხარისხის კონტროლის სისტემაში, რაც აუცილებელია მუშაობის




ეფექტიანობის შესაფასებლად, ანუ დეტალურად ფასდება ჩატარებული კვლევების სიზუსტე. მინდა გითხრათ, რომ ლაბორატორიაში ადამიანური რესურსებიც ძალიან კარგადაა წარმოდგენილი – გვყავს მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალი – ექიმები და ლაბორანტები. რაც შეეხება დატვირთვას, იგი ალბათ უნდა გაიზარდოს. ლაბორატორია, სრული ავტომატური რეჟიმით მომუშავე აპარატურით, სერიოზულ დატვირთვაზეა გათვლილი, ამა თუ იმ კვლევის სწრაფ რეჟიმში შესასრულებლად. აპარატების გარდა, შეძენილია უნიკალური მიკროსკოპებიც. ერთი სიტყვით, ყველა პირობაა იმისთვის, რომ კვლევები ისეთი ხარისხით შესრულდეს, როგორც ეს უცხოეთშია.

გვაქვს ურთიერთობა უცხოეთის საუნივერსიტეტო კლინიკების ლაბორატორიებთან, რომლებთან კონსულტაციებით არაერთი კვლევა შესრულდა. სამომავლოდ იგეგმება მათთან ურთიერთობის გაღრმავება, კერძოდ: პროგრამული კვლევების წარმოება, ექიმების უცხოეთში მივლინება, მონაწილეობა საერთაშორისო შეხვედრებსა თუ კონფერენციებში. უახლოესი მომავლისთვის მიწვეული ვარ პარიზში, კონფერენციაზე, მონაწილეობის მისაღებად, რომელიც, კლინიკური თვალსაზრისით და ლაბორატორიასთან კორელაციაში, კოაგულაციური და ჰემატოლოგიური საკითხების განხილვას ეძღვნება. შემოდგომაზე კი ვგეგმავთ ამერიკელი პროფესორის ვიზიტს, რომელიც უსასყიდლოდ წაიკითხავს ლექციათა ციკლს, რაც, ვფიქრობ, საინტერესო იქნება როგორც ლაბორატორიის, ისე კლინიკის თანამშრომლებისთვის.

გარდა პრაქტიკული და კლინიკური საქმიანობისა, გვაქვს სამეცნიერო კვლევებში ჩართულობის და პედაგოგიური საქმიანობის სურვილიც და შესაძლებლობაც.

ამბულატორია, დიაგნოსტიკა, ტრანსფუზიოლოგია

# აქ სასიამოვნოა პროფესიული საქმიანობა

**თეიმურაზ ივანიშვილი, ქირურგიის №2 დეპარტამენტის ურგენტული ქირურგიის მიმართულების პროფესორი, ამბულატორიულ-დიაგნოსტიკური და ტრანსფუზიოლოგიის სამსახურების უფროსი**




ქვეყნისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ჯანდაცვაა. მისასალმებელია და სასიხარულო, რომ საქართველოს მთავრობისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ძალისხმევით, განხორციელდა ერთობლივი პროექტი და საქართველოში პირველი და ერთადერთი მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკა ამოქმედდა.

აქ ერთად მოიყარეს თავი სამედიცინო უნივერსიტეტის დეპარტამენტებმა და მიმართულებებმა, რომლებიც აქამდე სხვადასხვა კერძო კლინიკებში იყვნენ განთავსებულნი.

სასწავლო და კლინიკური პროცესების ინტერესებიდან გამომდინარე, შენობა ორ, სამკურნალო და სასწავლო, ნაწილადაა გაყოფილი: სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ახალი კლინიკა იძლევა თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარჩვევების შეძენის საუკეთესო პირობებს.

რაც შეეხება მკურნალობას, პაციენტთან იგი გუნდური პრინციპით მიმდინარეობს, ადგილზეა თითქმის ყველა პროფილის სპეციალისტი, კონსულტანტის ძებნა საჭირო აღარ არის. გამომდინარე აქედან, მაღალია მკურნალობის ხარისხი საუკეთესო შედეგებით.

ჩემი აზრით, ყველაზე დიდი კმაყოფილება პროფესიული თვითკმაყოფილებით მიღებული სიამოვნებაა.

მრავალპროფილურ კლინიკაში წარმატებებს განაპირობებს: თსსუ-ის ძირითადი დეპარტამენტების და მიმართულებების პროფესიონალი სამედიცინო პერსონალის თავმოყრა, საუკეთესო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შენობის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, თანამედროვე მაღალი ხარისხის საკვლევი აპარატურა და სხვა მრავალი...

ყოველივე ეს საუკეთესო პირობებს გვიქმნის პროფესიული და პედაგოგიური საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის.

ენდოკრინოლოგია

# გვაქვს უმაღლეს დონეზე მომსახურების შესაძლებლობა

**პროფესორი დავით ვირსალაძე, ენდოკრინოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი**

ახალი საუნივერსიტეტო კლინიკის ბაზაზე განლაგებულ ენდოკრინოლოგიის მიმართულებაში მიმდინარეობს სტუდენტების მომზადება კლინიკური ენდოკრინოლოგიის მოდულის მიხედვით. მიმართულების ბაზაზე დასაქმებულია მაღალპროფესიონალი კლინიცისტ-ენდოკრინოლოგები, რომელთა საქმიანობა განისაზღვრება პაციენტების სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურებით. სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ, კლინიკა აღიჭურვა თანამედროვე აპარატურით, რომლის საშუალებითაც უზრუნველყოფილია დაავადებათა ფართო სპექტრის დიაგნოსტიკა. უახლესი იმუნო-ფერმენტული, ჰორმონალური ლაბორატორიით ხორციელდება, პრაქტიკულად, ყველა ჰორმონის კვლევა ბიოლოგიურ სითხეებში. ეს ყველაფერი კი პაციენტების უმაღლეს დონეზე მომსახურების შესაძლებლობას გვაძლევს.

მეანობა–გინეკოლოგია

# დიდი ხნის ოცნება აგვიხდა

**პროფესორი ნიკოლოზ კინტრაია, მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი**

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩვენი დეპარტამენტი გადანაწილებული იყო ქალაქის სხვადასხვა კლინიკურ ბაზაზე. ახალი კლინიკის გახსნით, ფაქტობრივად, ჩვენი დიდი ხნის ოცნება ახდა და დეპარტამენტი ერთ საუნივერსიტეტო კლინიკაში განთავსდა, სადაც მაქსიმალური პირობებია შექმნილი სტუდენტების სწავლისთვის: მცირე ჯგუფებში სამუშაოდ გამოყოფილია ცალ-ცალკე ოთახები, რასაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს კლინიკური დისციპლინისთვის. გვაქვს, ასევე, ცალკე სალექციო აუდიტორია და სწავლებისთვის საჭირო მულაჟები. რაც შეეხება კლინიკურ ნაწილს, იგი აღჭურვილია უახლესი აპარატურით. სამეანო განყოფილება მთლიანად მოწყობილია ეფექტური პერინატალური მოვლის პრინციპების შესატყვისად. სამშობიარო ბლოკები ოჯახზე ორიენტირებულია, რაც ნიშნავს, რომ აქ შექმნილია ოჯახური გარემო. თითო ბლოკში მხოლოდ ერთი ქალი მშობიარობს და მშობიარობაზე დასწრების შესაძლებლობა ეძლევა ოჯახის წევრს.



გინეკოლოგიური განყოფილებაც უახლესი ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი. კეთდება ლაპაროსკოპიული ოპერაციები, ჰისტეროსკოპიები, მუცელკვეთა, საშოსმხრივი ოპერაციები, ქალის სასქესო ორგანოების პლასტიკური ოპერაციები და ყველა საჭირო გამოკვლევა, რაც შეიძლება პაციენტს დასჭირდეს. გვაქვს, ასევე, ანტენატალური მეთვალყურეობის სერვისი, ანუ მოყოლებული ჩასახვიდან მთელი ორსულობა, მშობიარობა და შემდგომი პერიოდი მთლიანად იმართება ამ დეპარტამენტში. მნიშვნელოვანია, რომ სხვა სახის სამედიცინო მომსახურების აუცილებლობის შემთხვევაში, ორსულს არ დასჭირდება სხვა კლინიკაში წასვლა, ვინაიდან აქ თავმოყრილია სხვადასხვა დარგის საუკეთესო სპეციალისტები, თსსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები, რაც, თავისთავად, მომსახურების მაღალ დონეს გულისხმობს.

დეპარტამენტში ყველა პირობაა შექმნილი სტუდენტებისა და რეზიდენტების მაღალკვალიფიციურ ექიმებად ჩამოყალიბებისთვის. აღსანიშნავია, რომ რეზიდენტები აქტიურად არიან ჩართულნი როგორც პაციენტთა გამოკვლევების, ასევე, მკურნალობის პროცესში. ისინი აქტიურად მორიგეობენ, საშუალება აქვთ უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა მშობიარობებსა და ოპერაციებში, რა თქმა უნდა, პროფესორის მეთვალყურეობის ქვეშ.

ჩვენს კლინიკაში, დღესდღეობით, სწავლის პროცესიც და პაციენტის მკურნალობაც მთლიანად დაფუძნებულია მტკიცებითი მედიცინის საფუძვლებზე და სრულად შეესაბამება მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების სტანდარტებს.

ნეონატოლოგია

# ჯანმრთელი ახალშობილი, ჯანმრთელი დედა...



**პროფესორი ხათუნა ლომოური, ნეონატოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი**

ნეონატოლოგია პედიატრიის ცალკე სპეციალობაა. **ჯანმრთელი ახალშობილი, ჯანმრთელი დედა**, – ასეთია თანამედროვე მიდგომა პედიატრიაში. ჩვენ ყოველნაირად ვცდილობთ ადრეული ადაპტაციის პერიოდი ახალშობილისთვის კეთილსაიმედო იყოს. ამასთან, რისკის ჯგუფის ახალშობილებთან დროულად ვაწარმოებთ როგორც ლაბორატორიულ, ისე – ინსტრუმენტულ მონიტორინგს, რათა მინიმუმამდე დავიყვანოთ ნებისმიერი გართულების რისკი.

ჩვენთან თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი ინტენსიური თერაპიის პალატა ყოველნაირ პირობას ქმნის ახალშობილისა და დედისთვის, სტუდენტს და რეზიდენტს კი შეუძლია ახალშობილის დაბადებისთანავე გაითავისოს მასზე ზრუნვა და მეთვალყურეობა, რისკ-ფაქტორების ადრეული იდენტიფიცირების მნიშვნელობა, რათა თავიდან იქნას აცილებული შემდგომი გართულებები.

თანამედროვე რეკომენდაციები ცხადყოფს, რომ სამშობიარო სახლი მრავალპროფილიანი კლინიკის ბაზაზე უნდა ფუნქციობდეს, სადაც 24 საათიან რეჟიმში შესაძლებელია სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა, რაც, ბუნებრივია, უზრუნველყოფს როგორც დედის, ისე – ახალშობილის უსაფრთხოებას.

უროლოგია

# აღმოვუჩენთ ნებისმიერი სახის უროლოგიურ დახმარებას

**პროფესორი დავით ქორიაშვილი, ქირურგიის №1 დეპარტამენტის უროლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი**

ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში ჩადგა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა, რაც სასიხარულო და მისასალმებელია.

ახალ კლინიკაში უროლოგიური პროფილი გაშლილია 18 საწოლზე, საოპერაციო ბლოკი აღჭურვილია უახლესი თანამედროვე ტექნიკით, რაც საშუალებას გვაძლევს ჩავატაროთ ნებისმიერი სახის ლაპაროსკოპული და ენდოსკოპული ოპერაცია. ჩატარებული გვაქვს 20-ზე მეტი უროლოგიური ოპერაცია, მათ შორის ისეთი, როგორიცაა: რადიკალური ცისტექტომია ხელოვნური რეზერვუარის შექმნით ნაწლავიდან, რადიკალური პროსტატექტომია. შეგვიძლია ნებისმიერი ხარისხის და სიმძიმის უროლოგიური დახმარების აღმოჩენა, რის საშუალებასაც ახალი კლინიკა გვაძლევს.

გრძელდება უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობა, ერთობლივი ოპერაციები. ივნისის თვეში ველოდებით გერმანელ პროფესორს მიუნხენიდან...







სტუდენტების, უროლოგიის მიმართულების რეზიდენტების, უმცროსი ექიმების მონდომებას, ცოდნის დაუფლებისკენ სწრაფვას საუნივერსიტეტო კლინიკაში შექმნილი საუკეთესო გარემო უწყობს ხელს. მადლობის მეტი რა გვეთქმის თსსუ-ის ხელმძღვანელობის მიმართ, რომლებმაც ამდენი ხნის შემდეგ დიდი რუდუნებითა და ძალისხმევით შექმნეს მრავალპროფილური საუნივერსიტეტო კლინიკა და კვლავ ერთად შეკრიბეს ქალაქის სხვადასხვა უბანში მდებარე კერძო კლინიკებში გაბნეული სამედიცინო უნივერსიტეტის დეპარტამენტების თანამშრომელთა დიდი უმრავლესობა.

ნევროლოგია

# ახალი კლინიკა – ახალი შესაძლებლობები

**პროფესორი ივანე ვერულაშვილი – ნერვულ სნეულებათა პროპედევტიკის და ტოპიკური დიაგნოსტიკის მიმართულების ხელმძღვანელი**

თავის დროზე, გარკვეულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა არაერთი კლინიკური ბაზა დაკარგა, ბოლო დარტყმა კი რესპუბლიკური საავადმყოფოს – მულტიდისციპლინური საუნივერსიტეტო კლინიკის დახურვა იყო. ამგვარად, მრავალი კლინიკური მიმართულება დარჩა „ღია ცის ქვეშ“. გასაგებია, სულმოუთქმელად რატომ ველოდით პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გახსნას. პრაქტიკულად, ნულიდან წამოწყებული საქმე, თსსუ-ის ადმინისტრაციის შეუპოვარი საქმიანობით და უდიდესი ძალისხმევით დაგვირგვინდა შესანიშნავი, ახალი საუნივერსიტეტო კლინიკის პრეზენტაციით. მოგეხსენებათ, რომ ნებისმიერი კლინიკური საგანი შეუძლებელია ისწავლებოდეს პაციენტთან კონტაქტის გარეშე.



ნერვულ სნეულებათა კათედრა ერთ-ერთი ძირძველია სამედიცინო უნივერსიტეტში. შეგახსენებთ, რომ 1918 წელს დაარსდა ქართული უნივერსიტეტი, ხოლო ორი წლის შემდეგ აქ ჩამოყალიბდა სამედიცინო ფაკულტეტის ფსიქო-ნევროლოგიური კათედრა, პროფესორ **იაკობ ამფიმოვის** ხელმძღვანელობით. კათედრაზე ასისტენტად დაინიშნა **სვიმონ ყიფშიძე**, ხოლო ორდინატორებად – **პეტრე სარაჯიშვილი**, **პეტრე ქავთარაძე** და **ნიკონ ფოფხაძე**.

1930 წელს, ქართულ უნივერსიტეტს გამოეყო სამედიცინო ფაკულტეტი, რომელიც რეორგანიზებულ იქნა დამოუკიდებელ უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლად. უნივერსიტეტიდან გამოყოფის შემდეგ, ნერვულ სნეულებათა კათედრას სათავეში ჩაუდგა პროფესორი **სვიმონ ყიფშიძე**. აღსანიშნავია, რომ წელს ჩვენი მიმართულება (ანუ კათედრა) იუბილარია – 95 წელი შეუსრულდა.

ვფიქრობთ, დიდი ტრადიციების მქონე კოლექტივს, ამიერიდან მეტი შესაძლებლებლობა მიეცემა, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გამართული პედაგოგიური და კლინიკური მუშაობისთვის. ახალ საუნივერსიტეტო კლინიკაში გონივრულად არის განთავსებული სასწავლო კაბინეტები, სალექციო აუდიტორიები და მათგან განცალკევებულ, პარალელურ სივრცეში — კლინიკური განყოფილებები. სტაციონარში შესვლა მკაცრად რეგლამენტირებულია, რითაც დაცულია კლინიკის სანიტარული ნორმები. ამავე დროს, ეს დაბრკოლებას არ უქმნის სტუდენტების ავადმყოფებთან ურთიერთობას. ნევროლოგიის დეპარტამენტი აღჭურვილია ყველა აუცილებელი აპარატურით. გვაქვს ელექტროენცეფალოგრაფიის და ელექტრომიოგრაფიის კაბინეტები. მრავალი წლის შემდეგ მოგვეცა საშუალება, სასწავლო პროცესი ორგანულად შერწყმულიყო კლინიკურ საქმიანობასთან. თანდათან, ეტაპობრივად გაიზარდა ავადმყოფთა რაოდენობა. ნევროლოგიის დეპარტამენტი ერთ-ერთი ყველაზე დატვირთულია საუნივერსიტეტო კლინიკაში. ახალი სამედიცინო რეფორმის შედეგად გაიზარდა მომართვიანობა სტაციონარში, ვინაიდან გადაუდებელ ნევროლოგიურ დაავადებებს სახელმწიფო აფინანსებს.

მიუხედავად იმისა, რომ წლების მანძილზე, არცთუ სახარბიელო პირობებში, სხვა კლინიკებს ვიყავით შეფარებულნი „სტუმრის“ სტატუსით და საკმაოდ „ხელმოკლედაც“ ვგრძნობდით თავს, მაინც არასდროს ჩავარდნილა ჩვენს მიმართულებაზე (კათედრაზე) სასწავლო პროცესი; და თუ ადრე უფრო მეტად ვიყავით გადართულნი თეორიული საკითხების გაშუქებაზე, ახლა შეგვიძლია ეს ყველაფერი სტუდენტს პრაქტიკულად ვაჩვენოთ, რათა მან შესაბამისი უნარ-ჩვევები გამოიმუშაოს. გასაკვირი არ არის, რომ უნივერსიტეტის კათედრები დაუბრუნდნენ მუშაობის ჩვეულ რიტმს, რაც წლების მანძილზე საკმაოდ წარმატებით გვქონდა აპრობირებული და დღეს აღარ გვიჭირს, ტრადიციულ რეჟიმში განვაგრძოთ სასწავლო-პედაგოგიური, კლინიკური და სამეცნიერო მუშაობა.

მოკლედ, ახალი საუნივერსიტეტო კლინიკა შესანიშნავი დასაწყისია წარმატებული საქმიანობის უზრუნველყოფისთვის და ამ საქმეში უდიდეს დახმარებას და თანადგომას გვიწევს პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის დირექცია.

ოფთალმოლოგია

# წარმატების ახალი ჰორიზონტები

პროფესორი მერაბ დვალი, თვალის სნეულებათა მიმართულების ხელმძღვანელი







ტრადიციისამებრ, თითქმის საუკუნეა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში თავს იყრის საქართველოს საუკეთესო სამედიცინო კადრი როგორც პედაგოგების, ისე სამეცნიერო და კლინიცისტების სახით.

გულსატკენია, რომ საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, ბოლო 15 წლის მანძილზე თსსუ ძირითადი კლინიკური ბაზების გარეშე დარჩა. ამიტომაც სასიხარულოა, რომ ახალ საუნივერსიტეტო კლინიკაში სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური დეპარტამენტების ექიმთა საუკეთესო ბირთვმა ისევ მოიყარა თავი.

აღსანიშნავია, რომ როგორც დასავლეთ ევროპის წამყვან ქვეყნებში, ასევე, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში, ყველა კერძო კლინიკის წამყვანი ექიმი მიისწრაფის გახდეს თავისი რეგიონის სამედიცინო უნივერსიტეტის თანამშრომელი, სწორედ პრესტიჟის გამო. ვიმედოვნებ, იგივე ტენდენცია გავრცელდება ჩვენს ქვეყანაში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მნიშვნელოვანი სარემონტო სამუშაოები ჩაატარა ახალი კლინიკის ასამოქმედებლად. შეიძინა საკმაოდ ძვირადღირებული თანამედროვე სამედიცინო აპარატურა, რაც მეცნიერული კვლევის, დიაგნოსტირების და მკურნალობის საშუალებას აძლევს თსსუ-ის დეპარტამენტებისა და მიმართულებების თანამშრომლებს. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ საუკეთესო სამუშაო პირობები შეგვიქმნა იმისთვის, რომ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება შევუსაბამოთ არსებულ თანამედროვე პირობებს – მოვამზადოთ მაღალკვალიფიციური კადრები და სათანადო დონეზე ვუმკურნალოთ პაციენტებს.

თსსუ-ის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში, ოფთალმოლოგიის მიმართულებით, პაციენტთა მკურნალობა იწარმოებს კონსერვატიული, ლაზერული და ქირურგიული მეთოდებით. ეს დაავადებებია: გლაუკომა, რქოვანას დაზიანებები, კატარაქტა, დიაბეტური ოფთალმოლოგია, თვალის სხვადასხვა ინფექციური და ალერგიული დაავადებები. აღსანიშნავია სახელმწიფო საყოველთაო დაზღვევის სიკეთე ჩვენი მოსახლეობის მიმართ. მათი თანადაფინანსების საფუძველზე ბევრ პაციენტს შესაძლებლობა მიეცა ჩაიტაროს მისთვის აუცილებელი, მაგრამ საკმაოდ ძვირადღირებული ოპერაცია. დეპარტამენტის ყველა თანამშრომელი ჩართულია სხვადასხვა პროფილის ოფთალმოლოგიურ სამსახურში, რათა ყველა პათოლოგიის პაციენტს გაეწიოს სათანადო მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარება.

რაც შეეხება სტუდენტებს და რეზიდენტებს, მათთან მუშაობა მრავალფეროვანი და საინტერესოა. ოფთალმოლოგიის კურსს გადიან მედიცინის, სტომატოლოგიის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტების მეხუთე კურსის სტუდენტები, როგორც ქართული, ისე ინგლისურენოვანი სექტორები. დეპარტამენტში ფუნქციონირებს სტუდენტთა სამეცნიერო წრე. რეზიდენტებთან საქმიანობისას ყველა თანამშრომელი თავის ცოდნას და გამოცდილებას უზიარებს მათ სრულყოფილ ექიმებად ჩამოყალიბებისთვის. რეზიდენტები ხშირად მონაწილეობენ უფასო სამედიცინო გამოკვლევებში („სამედიცინო გაზეთი“, №4 (282), 2015წ.). ახლახან მათ მოიარეს აჭარის მაღალმთიანი რეგიონი და გასინჯეს ათასზე მეტი პაციენტი. აღსანიშნავია, რომ თსსუ თავის რეზიდენტებს საკმაოდ ხშირად აგზავნის უცხოეთში მონოთემატურ კურსებზე ცოდნის ასამაღლებლად, დაბრუნების შემდეგ კი ისინი საინტერესო მასალებით ანგარიშს წარმოადგენენ დეპარტამენტში და მიღებულ ცოდნას ნერგავენ კლინიკურ პრაქტიკაში. კერძოდ, ჩვენი რეზიდენტი **ნინო ჯანყარაშვილი** ორი თვით გაიგზავნა ლონდონის მურფილდის თვალის კლინიკაში, სადაც ძალიან მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა. ამა წლის ნოემბერში ჩვენი სამი რეზიდენტი შავი ზღვის ოფთალმოლოგთა საერთაშორისო კონფერენციაზე ორიგინალური სამეცნიერო მოხსენებებით წარდგება.

2014 წელს ერთ-ერთმა ამერიკულმა საქველმოქმედო ორგანიზაციამ რეზიდენტებს საჩუქრად, სხვა ოფთალმოლოგიურ ხელსაწყოებთან ერთად, გადასცა საკმაოდ ძვირადღირებული კატარაქტის ქირურგიის სასწავლო სიმულატორი „კიტარო“, რომელზეც შესაძლებელია ისეთივე მანიპულაციების ჩატარება, როგორც ბუნებრივ თვალზე რეალურ სიტუაციაში. აღნიშნული საუკეთესო საშუალებაა ქირურგიული უნარ-ჩვევების შესაძენად.

რეზიდენტები ქვეყნის ხვალინდელი დღეა. სრულყოფილი ცოდნა, გაჯერებული პრაქტიკული საქმიანობით, მათი მომავალი წარმატებების მყარი გარანტია.

სამედიცინო რეაბილიტაცია და სპორტული მედიცინა

# მიღწეულიდან პერსპექტივებისკენ

პროფესორი ნაირა ჭაბაშვილი, კლინიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის მიმართულების ხელმძღვანელი

სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის მიმართულებას დიდი ტრადიციები გააჩნია. მიმართულებამ, ამჟამინდელი ფორმით ჩამოყალიბებამდე, არაერთი ცვლილება განიცადა. კათედრის პირველი გამგე იყო პროფესორი **გიორგი მღებრიშვილი**, შემდეგ, 1968 წლიდან კი, კათედრას ხელმძღვანელობდა პროფესორი **რომანოზ სვანიშვილი**. 1995 წლიდან კათედრას ეწოდა სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის ჯერ კათედრა, შემდეგ მიმართულება, რომელიც გაერთიანდა კლინიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტში.

რესპუბლიკურ საავადმყოფოში, კლინიკური ბაზის გაუქმება, კათედრამ განსაკუთრებულად მტკივნეულად განიცადა, დაახლოებით ათი წლის მანძილზე კათედრას უწევდა მუდმივად გადაადგილება ხელშეკრულებებით, დროებითი მუშაობის სტატუსით, თანამშრომლობა სხვადასხვა კლინიკასა და სპორტული მედიცინის ცენტრთან, რათა ხელი არ შეშლოდა სასწავლო პროცესს. მიუხედავად ასეთი მძიმე სამუშაო პირობებისა, კათედრის თანამშრომელთა დიდი ძალისხმევის შედეგად ყველა პირობა იყო შექმნილი სასწავლო პროცესისთვის, რაც ჩვენთან არასოდეს ჩაშლილა.

საბედნიეროდ, ყოველივე ზემოაღნიშნული წარსულს ჩაბარდა. სადღეისოდ სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ დიდი ძალისხმევით შეძლო უნივერსიტეტისთვის მოეპოვებინა და დაეფუძნებინა ახალი კლინიკური ბაზა. უმოკლეს დროში საუნივერსიტეტო კლინიკაში გარემონტდა და შეიქმნა მაღალი დონის ინფრასტრუქტურა, დეპარტამენტები აღიჭურვა თანამედროვე, უახლესი მაღალი დონის ტექნოლოგიებით, აპარატურით, ლაბორატორიებით. კლინიკაში განთავსდა და თავი მოიყარა კლინიკური დეპარტამენტის უმრავლესობამ შესაბამისი პროფესიონალი ინტელექტუალური რესურსით. მოკლედ რომ მოგახსენოთ, სამედიცინო უნივერსიტეტმა დააფუძნა ახალი, პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა სრულიად ახალი ინფრასტრუქტურით, ახალი ტექნოლოგიებით და ახალი თანამედროვე მენეჯმენტით, რომელმაც ოფიციალურად დაიწყო ფუნქციობა აპრილის თვიდან.

სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის დეპარტამენტში ფუნქციობს კინეზოთერაპიის დარბაზი, მასაჟის, ფიზიოთერაპიის, ლაზეროთერაპიის, რეფლექსოთერაპიის, პუვათერაპიის, ჰიდროკოლონოთერაპიის, ხერხემლის დაჭიმვის, პრესოთერაპიის კაბინეტები. თითოეული კაბინეტი აღჭურვილია თანამედროვე მაღალტექნოლოგიური აპარატურით, კინეზოთერაპიის დარბაზით — მრავალფუნქციური სავარჯიშო ტრენაჟორებით.

მოგეხსენებათ, რეაბილიტაცია ფართო ცნებაა და მოიცავს აღდგენითი თერაპიის სხვადასხვა მეთოდს. როდესაც დეპარტამენტის ფუნქციობა იგეგმებოდა, ჩვენ უნდა შეგვერჩია რეაბილიტაციის ისეთი მეთოდები და შესაბამისად ისეთი აპარატურა, რომელიც მნიშვნელოვანი და აუცილებელი იქნებოდა მულტიპროფილური საავადმყოფოს პირობებში სხვადასხვა დაავადების მქონე პაციენტთა აღდგენითი მკურნალობისთვის როგორც სტაციონარში, ისე – ამბულატორიულ პირობებში. სტაციონარში ავადმყოფის დაყოვნების ხანგრძლივობის და საწოლდღეების რაოდენობის შემცირებაში, დაავადების ძირითად ქირურგიულ და თერაპიულ მკურნალობასთან ერთად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეაბილიტაციური მეთოდების დროული და ეფექტური შერჩევა.



სამედიცინო რეაბილიტაციის მიმართულება და დეპარტამენტი, მისი ყველა თანამშრომელი მუდმივად ვართ ჩვენს დარგში არსებული სიახლეების ძიების პროცესში, ვიღებთ მონაწილეობას სხვადასხვა ფორუმსა და სამეცნიერო კონფერენციაში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ; თანამშრომლები მონაწილეობენ საქართველოს და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული ანტიდოპინგური სააგენტოების საქმიანობაში. ყოველივე ზემოთ აღნიშნული კი განაპირობებს სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის სრულყოფას და ხელს უწყობს პრაქტიკული, კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას, პაციენტებისათვის კი უზრუნველყოფს მკურნალობის მაღალ ხარისხს.

დასასრულ, მინდა აღვნიშნო, რომ მომავალში სამედიცინო უნივერსიტეტის და საუნივერსიტეტო კლინიკის ხელმძღვანელებს დაგეგმილი აქვთ კლინიკის გაფართოება. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლიერება გამოვხატო მათ მიმართ, ვინც გადაწყვიტა სამედიცინო რეაბილიტაციის დეპარტამენტის განთავსება კლინიკის ახალ, მშენებარე კორპუსში, სადაც თავიდანვე იქნება გათვალისწინებული სამედიცინო რეაბილიტაციისთვის მოწოდებული სტანდარტები და მოთხოვნები, რაც განაპირობებს დარგის კიდევ უფრო წარმატებულად ფუნქციონირებას.

ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგია

# დიდი გზის დასაწყისი



**სამსონ (ტატო) ქაჯაია**, ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, მედიცინის აკადემიური დოქტორი

იყო პერიოდი, როცა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა დაკარგა გარკვეული მატერიალური ქონება, ბაზა. ახლა კი დადგა დრო ჩვენი უნივერსიტეტის რეაბილიტაციისა. საუნივერსიტეტო კლინიკის ეს შენობა და ინფრასტრუქტურა ამის ნათელი მაგალითია.

ჩვენი საუნივერსიტეტო კლინიკა თანამედროვე დონის აპარატურით და მაღალი ინფრასტრუქტურული მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი დაწესებულებაა, სადაც თავმოყრილია სამედიცინო უნივერსიტეტის დეპარტამენტთა დიდი ნაწილი თავისი ინტელექტუალური რესურსით. თამამად ვიტყვი, რომ ჩვენთანაა ქართული სამედიცინო აზროვნების ელიტა, რომელსაც აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა და სათანადო, მაღალი დონის აპარატურული აღჭურვა. ასე რომ, კლინიკაში წარმატებით მიმდინარეობს პაციენტის მკურნალობა და, პარალელურად, სასწავლო პროცესიც, რისი დიდი იმედი გვაქვს; ყოველ შემთხვევაში, შექმნილია პირობები სრული სერვისის მისაღებად – სტუდენტებისთვის განათლების და პრაქტიკული ჩვევების გამომუშავების მიმართულებით, პაციენტებისთვის – მაღალტექნოლოგიური მკურნალობის თვალსაზრისით. ყველა ახალ საქმეს კი სჭირდება გარკვეული დრო ბაზარზე საკუთარი ნიშის დასაკავებლად და სახელის მოსახვეჭად. იმედი გვაქვს, რომ მიმდინარე წლის ზაფხულში კლინიკა უფრო დაიტვირთება, თუმცა, ჩვენს განყოფილებაში ყველა რეანიმაციული საწოლი დატვირთულია სხვადასხვა პროფილის მძიმე პაციენტებით.

ძალზე მნიშვნელოვანია იმ ფაქტის აღნიშვნაც, რომ მალე ჩვენს განყოფილებას შეემატება თანამედროვე ტიპის გერმანული წარმოების **„ეზონის“** ფირმის აპარატი, რომელიც გათვლილია ქრონიკული ტკივილის სინდრომზე, ანუ იმ ტკივილის მკურნალობაზე, რომელსაც ოპერაცია არ სჭირდება და ვერც უშველის, კერძოდ, ონკოლოგიური, ასევე, ხერხემლის დაავადებების დროს, როცა პაციენტი ქრონიკული ტკივილით იტანჯება. მსგავს შემთხვევებში, უხშირესად, ნარკოტიკს მიმართავდნენ, რომელიც მაქსიმალური ეფექტურობით არ გამოირჩევა. ბოლო პერიოდში კი ჩვენთანაც დაინერგა პერიფერიული ადგილობრივი გაუტკივარების არაერთი მეთოდი, როდესაც ანესთეტიკი, ანუ პრეპარატი, რომელმაც ტკივილის კუპირება უნდა გამოიწვიოს, მიტანილია უშუალოდ იმ ნერვთან, რომელიც პასუხისმგებელია კონკრეტული უბნიდან ტკივილის აღქმაზე, ან იმ ნერვულ წნულთან, სადაც ასეთი ნერვები იყრის თავს. ეს ყველაფერი შეიძლება განხორციელდეს ორი გზით: ერთი – ბრმად, ანუ როდესაც სპეციალისტმა კარგად იცის ადამიანის ტოპოგრაფიული ანატომია და მეორე – ვიზუალური ტექნიკის გამოყენებით, ანუ ექოსკოპით, რენტგენო-დიაგნოსტიკური კვლევით ან კომპიუტერული ტომოგრაფიის მეშვეობით. ბოლო პერიოდში არჩევანი ექოსკოპიის სასარგებლოდ კეთდება, რადგანაც ბაზარზე კარგი ვიზუალიზაციის ექოსკოპები გამოჩნდა, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია იმის დანახვა თუ სად და როგორ გადის ქსოვილებში ნემსი. ვიზუალიზაციისთვის საჭიროა სპეციალური – გრძელი და განსაკუთრებული ტექნოლოგიით დამუშავებული ძვირადღირებული ნემსები. კომპანია **„ეზონმა“** მიაგნო ახალ ტექნოლოგიას – როგორ გახადოს უბრალო და იაფფასიანი ნემსი ექოსკოპიურად ხილული. თუ სხვა ფირმის ექოსკოპებით ვხედავთ მხოლოდ ქსოვილებს, ამ აპარატით შესაძლებელია როგორც ქსოვილის, ასევე, ნემსის დანახვაც. ესაა რევოლუციური ნაბიჯი ქრონიკული ექოსკოპიური ვიზუალიზაციის თვალსაზრისით. სწორედ ამ დღეებში ფირმის წარმომადგენელი გვეწვევა კლინიკაში, რათა გვიჩვენოს თუ როგორ მუშაობს ეს სისტემა. სპეციალისტიც მომზადებული გვყავს – ბატონი **ვახტანგ შოშიაშვილი**, რომელიც ხუთ წელზე მეტია პერიოდულად უცხოეთში მუშაობს ამ მიმართულებით. ჩვენი სურვილია, ვაჩვენოთ კოლეგებს, რომ ასეთი აპარატი სპონსორის დახმარებით სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკაში შემოდის. მალე დავიწყებთ ექიმთა გადამზადებას დიპლომისშემდგომი განათლების ეგიდით. ასე რომ, არ ვაპირებთ ერთ ადგილზე გაჩერებას, გვინდა ფეხი ავუწყოთ მედიცინის თანამედროვე მოთხოვნებს, რათა ჩვენი პაციენტების მდგომარეობა გაუმჯობესდეს, ხოლო ახალგაზრდებმა თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი სამედიცინო განათლება მიიღონ.

ორთოპედია-ტრავმატოლოგია

# მიზანი – მაღალტექნოლოგიური ორთოპედიული სამსახური

**გიორგი ობგაიძე**, ორთოპედია-ტრავმატოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი

საქართველოს სამედიცინო საზოგადოება დიდი ხანია ელოდა საუნივერსიტეტო კლინიკის გახსნას. წლების მანძილზე სამედიცინო უნივერსიტეტის კათედრები, ამჟამად დეპარტამენტები/მიმართულებები, დაქსაქსული იყო სხვადასხვა კლინიკაში, ბაზები – ქალაქის ამა თუ იმ უბანში. იმ ფაქტმა, რომ შეიქმნა კლინიკა და ექიმების ელიტარული ნაწილი შეიკრიბა ჩვენი სახელოვანი უნივერსიტეტის კლინიკის კედლებში, აღმაფრთოვანა. მოხარული ვარ, რომ უნივერსიტეტისა და კლინიკის მესვეურებმა გამომიცხადეს ნდობა და ამირჩიეს ორთოპედია-ტრავმატოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელად.

დღესდღეობით ორთოპედიის დარგში განსაკუთრებული მიღწევებია. თამამად შეიძლება განვაცხადო, რომ ჩვენ კვალდაკვალ მივყვებით ამ სიახლეებს და არაფრით ჩამოვუვარდებით უცხოელ კოლეგებს. ჩვენი განყოფილების კოლექტივი ამაყობს იმით, რომ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულნი ვართ, რომლებმაც ქვეყნის ძნელბედობის ჟამს, ცოდნის გასაღრმავებლად, ევროპის სხვადასხვა მოწინავე კლინიკას მივაშურეთ. ახლა კი ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, შეიძინონ ის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომლის გარეშეც კლინიკური აზროვნების ჩამოყალიბება შეუძლებელია. კლინიკა სრულად არის აღჭურვილი და ადაპტირებულია სასწავლო პროცესზე, რის გამოც მადლობის ღირსია ყველა ის ადამიანი, ვინც ამ იდეის განხორციელებას ხელი შეუწყო.

კლინიკის ორთოპედია-ტრავმატოლოგიის მიმართულება მოემსახურება არა მხოლოდ ჩვენს თანამოქალაქეებს, არამედ – ქვეყნის მოსახლეობას. ხორციელდება უმნიშვნელოვანესი პროექტები: მალე დეპარტამენტი აღიჭურვება ბოლო მოდელის – arhrex synergy HD3 ართროსკოპით. სახსრის ყველა დივაისით განხორციელდება მსხვილი და წვრილი სახსრების ვიდეოქირურგიის სრული სპექტრი. შესაძლებელი იქნება აპარატის ქსელში გაშვება, რასაც სტუდენტები სპეციალური აპარატურით ადევნებენ თვალს; სკაიპის საშუალებით ექნებათ პირდაპირი კონტაქტი ოპერატორთან. ოპერაცია გახდება ინტერაქტიული. უცხოეთში ნანახის შემდეგ დიდი სურვილი მქონდა და ეს ყველაფერი ჩვენთანაც განხორციელებულიყო; ასევე, ჩატარდება ურთულესი რეკონსტრუქციული ოპერაციები საყრდენ-მამოძრავებელ სისტემაზე, რაც დღესდღეობით განსაკუთრებით აქტუალურია სპორტულ ორთოპედიაში. ხშირად ჩვენს სპორტსმენებს, აპარატურის არქონის გამო, საზღვარგარეთ მკურნალობა უხდებოდათ, ახლა კი მათ შეუძლიათ ჩვენი იმედი ჰქონდეთ – ძალიან მალე ეს შესაძლებელი ჩვენს კლინიკაშიც იქნება.

ცალკე მინდა აღვნიშნო მსხვილი სახსრების: მენჯ–ბარძაყის, მუხლის, მხრის, იდაყვის და კოჭ–წვივის ენდოპროთეზირების შესახებ, რაც, ასევე, შესაძლებელი იქნება ჩვენთან თანამედროვე გერმანული და შვეიცარიის წარმოების პროთეზებით.

რაც შეეხება სასწავლო პროცესს ჩვენი მიმართულების ბაზაზე, სტუდენტებს ვპირდები, რომ მოისმენენ ძალიან საინტერესო ლექციებს, დააკვირდებიან ოპერაციებს, საშუალება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო მუშაობაში; ასევე, შეძლებენ მოისმინონ ჩვენი უცხოელი კოლეგების ლექციები ენობრივი ბარიერის გარეშე.



კლინიკის ადმინისტრაცია ორიენტირებულია თანამედროვე მაღალტექნოლოგიური ორთოპედიული სამსახურის შექმნაზე, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ვეცდებით მაქსიმალური გავაკეთოთ ამ თვალსაზრისით.

# აქ საქმიანობა უფრო დინამიური და პროდუქტიულია



**პროფესორი გელა სულაბერიძე**, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ზოგადი თერაპიის მიმართულების ხელმძღვანელი

თსსუ-ის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის კლინიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ზოგადი თერაპიის მიმართულებაზე, დიპლომამდელი განათლების ფარგლებში, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მენეჯმენტის და სტომატოლოგიის ფაკულტეტების სტუდენტები დიაგნოსტიკის საფუძვლების, ზოგადი თერაპიისა და შინაგანი სნეულებების კურსებს გადიან.

ახალი საუნივერსიტეტო კლინიკის გახსნის შემდეგ პირობები მკვეთრად გაუმჯობესდა, სასწავლო პროცესი უფრო დინამიური და პროდუქტიული გახდა. შესაძლებლობა მოგვეცა წარმატებით განვახორციელოთ დიპლომისშემდგომი განათლების, რეზიდენტურისა და დოქტორანტურის პროგრამები შინაგან სნეულებასა და გასტროენტეროლოგიაში.

ზოგადი თერაპიის მიმართულების თანამშრომლები მონაწილეობენ კლინიკის სამკურნალო საქმიანობაში, ყველა განყოფილებაში ატარებენ თერაპევტისა და გასტროენტეროლოგის კონსულტაციებს, იღებენ ამბულატორიულ პაციენტებს.

კლინიკის ბაზაზე რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდის კონკურსში გამარჯვებული ორწლიანი პროექტის – **„კვების რაციონში მცენარეული ბოჭკოების დეფიციტის შეფასება და მისი შევსების ეფექტი ყაბზობის დროს“** – განხორციელება ფარმაკოთერაპიის მიმართულების თანამშრომლებთან ერთად სულ ახლახან დაიწყო. ასევე, გრძელდება საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს, ტექნოლოგიური ინოვაციური პროგრამის (TIP) გრანტი: **„მცენარეული ბოჭკოებით მდიდარი საკვები პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესება და კონკურენტუნარიანი მზა ფორმების შემუშავება“**.

მიმართულების თანამშრომლების მიერ მოწოდებულია ინოვაცია – **„საჭმლის მონელების და ნივთიერებათა ცვლის და მასთან დაკავშირებული პათოლოგიური მდგომარეობის პრევენციისა და მკურნალობის მეთოდი და საკვები პროდუქტები მის საფუძველზე“**. პატენტები, საქართველოს გარდა, დაცულია აშშ-ში, რუსეთში, უკრაინაში, ყაზახეთსა და სომხეთში. დაპატენტების შემდგომი ეტაპი, ბუნებრივია, ინოვაციის პრაქტიკაში დანერგვა და დეტალური მეცნიერული შესწავლაა. ამ მიმართებით, ერთობლივი სამეცნიერო ნაშრომების შესასრულებლად მუშაობა მიმდინარეობს როგორც ჩვენი უნივერსიტეტის, ისე ზემოაღნიშნული ქვეყნების მეცნიერებთან, რომლის განსახორციელებელ ბაზად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა მოიაზრება.

# ახალი კლინიკა – წარმატებების საწინდარი

**პროფესორი ალექსანდრე ქისტაური**, შინაგანი მედიცინის №2 დეპარტამენტის შინაგან სნეულებათა მიმართულების ხელმძღვანელი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მრავალპროფილიან საუნივერსიტეტო კლინიკაში ჩვენთვის, თანამშრომლებისთვის, იდეალური სამუშაო პირობებია შექმნილი, სადაც წარმატებით შეგვიძლია განვახორციელოთ სამკურნალო, სასწავლო, სამეცნიერო საქმიანობა.

ოცდღიან კურაციას ჩვენს დეპარტამენტში (გასტროენტეროლოგია, ნეფროლოგია, რევმატოლოგია) მედიცინის ფაკულტეტის მეხუთე კურსის ქართული და უცხოურენოვანი ფაკულტეტის სტუდენტები გადიან. გასულ წლებთან შედარებით ამაღლდა სტუდენტთა ცოდნის დონე და დაინტერესება. ბევრი მათგანი აქ მუშაობს კიდეც. განახლდება დეპარტამენტში არსებული სტუდენტთა სამეცნიერო წრის საქმიანობა, მივიღებთ რეზიდენტებსაც.

თერაპია, როგორც მედიცინის ერთ-ერთი ძირითადი დარგი, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის ერთგვარი გზამკვლევია, იგი განსაზღვრავს პაციენტის მკურნალობის შემდგომ ეტაპებს – რჩება იგი თერაპევტთან თუ საჭიროებისამებრ გაიგზავნება სხვა პროფილის ექიმთან.

თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ამოქმედება მნიშვნელოვანია არა მარტო მოსახლეობისთვის, არამედ სტუდენტების, რეზიდენტების და თითოეული ჩვენგანის მომავალი წარმატებული საქმიანობისთვის.

სამედიცინო გაზეთი

ოტორინოლარინგოლოგია

# მალე უფრო დატვირთული გრაფიკით ვიმუშავებთ



**პროფესორი მიხეილ ჯაში,**
**ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა მიმართულების ხელმძღვანელი**

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ კლინიკის გახსნა უმნიშვნელოვანესი ფაქტია როგორც სტუდენტებისთვის კლინიკური ბაზის არსებობის, ისე მოსახლეობისთვის მეტად საჭირო და მაღალი დონის სამედიცინო მომსახურების თვალსაზრისით. უახლესი ტექნოლოგიები, საუკეთესო აპარატურა, თანამედროვე კლინიკური ლაბორატორია, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა, მთავარი ის სამედიცინო პერსონალია, რომელიც ამ კლინიკაშია თავმოყრილი – სხვადასხვა დარგის წამყვანი და აღიარებული სპეციალისტები.

დეპარტამენტი ამბულატორიულად საკმაოდ დატვირთულია, გვყავს სტაციონარული პაციენტებიც და ვინაიდან მათი რაოდენობა მზარდია, მალე კიდევ უფრო დატვირთული გრაფიკით ვიმუშავებთ.

თავისთავად ნოვაცია და მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ კლინიკაში სტუდენტებისთვის განკუთვნილ კეთილმოწყობილ სასწავლო-სალექციო აუდიტორიებთან ერთად განთავსებულია კლინიკური ნაწილიც; ზოგადად – სასწავლო, კლინიკური და სამეცნიერო მუშაობის შერწყმა მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯია, რაც ზრდის სტუდენტების მოტივაციას და აუცილებელი პირობაა როგორც მათი, ისე რეზიდენტების (რომლებიც მალე, სარეზიდენტო პროგრამების ამოქმედებისთანავე, შემოგვიერთდებიან) მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბებისთვის. საუნივერსიტეტო კლინიკის არსებობის მიზანიც და საუკეთესო გამართლებაც სწორედ ეს არის.

უნდა ითქვას ჩვენი ტრადიციული ურთიერთობების შესახებაც უცხოელ კოლეგებთან, რაშიც დიდია თსსუ-ის ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ **შოთა ჯაფარიძის**, წვლილი. ეს კონტაქტები გრძელდება, გაგრძელდება და კიდევ უფრო გაღრმავდება მომავალში, რაც აუცილებელი და მნიშვნელოვანია დეპარტამენტის წარმატებული საქმიანობის თვალსაზრისით.

ყბა-სახის ქირურგია

# ... ავმაღლდი პაციენტის თვალში ...

**ზაზა მაჭავარიანი,**
**ყბა-სახის მიმართულების ხელმძღვანელი**



აქ მოღვაწეობის 40 წელს ვითვლი... 1976 წელს კლინიკურ ორდინატორად დავიწყე მუშაობა.

გაუსაძლის პერიოდში მიწევდა პროფესიული მოვალეობის შესრულება. როცა ეს კორპუსი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს გადაეცა და დაიწყო მისი ძირეული რეკონსტრუქცია, ხოლო შენობა, სადაც ვეწეოდით საქმიანობას, დევნილებმა დაიკავეს, მთელი შემადგენლობით გადავედით ქ. თბილისის ალ. ალადაშვილის სახელობის კლინიკურ საავადმყოფოში.

პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში ყველაფერი შესანიშნავი და იდეალურია: ახალი საოპერაციოები, კომფორტული პალატები, თანამედროვე სამედიცინო აპარატურა, შესატყვისი მედიკამენტები... გულს მოუხარია, სტიმულით აღსავსე ვარ... ჩემს პროფესიულ საქმიანობაში რადიკალური შემობრუნებაა...

განყოფილება აღჭურვილია თანამედროვე რენტგენოლოგიური გამოკვლევების საშუალებებით, კომპიუტერებით, ანუ, რაც გვჭირდება, ყველაფერია, სრული კომფორტია, ისეთი, რომელზეც ვერ ვიოცნებებდი ამ რამდენიმე წლის წინ. გავთავისუფლდი იმ უხერხულობისგან, რაც პაციენტთან მექმნებოდა. ავმაღლდი ავადმყოფის თვალში...

ვმუშაობთ ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, მეგობრულად და ერთად ვიღვწით კლინიკის განვითარებისთვის.

დიდი მადლობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ **ზურაბ ვადაჭკორიას**, კანცლერს, ბატონ **ზურაბ ორჯონიკიძეს**, ჩვენი კლინიკის ხელმძღვანელობას და თითოეულ მათგანს, ვინც თავდაუზოგავი გარჯით შეგვიქმნა ასეთი საოცნებო სამუშაო პირობები.

ახლა ჯერი ჩვენზეა – მაღალპროფესიული, უანგარო ღვაწლით ავამაღლოთ კლინიკის ავტორიტეტი.

პროქტოლოგია

# სრულყოფილი პედაგოგიური და კლინიკური საქმიანობისთვის

**პროფესორი თეიმურაზ აბულაძე, ქირურგიის დეპარტამენტის პროქტოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი**

წლების მანძილზე სწორედ ამ ბაზაზე მიხდებოდა პროფესიული საქმიანობა, ჯერ ქალაქის VIII, შემდეგ – IV და დღეს – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველ კლინიკაში. ასე რომ, ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა აქ დაბრუნება.

უნდა ითქვას, რომ საუნივერსიტეტო კლინიკური ბაზის რეაბილიტაცია წარმატებულად განხორციელდა, რამეთუ ყველა ძირითადი რგოლი – ამბულატორიულ-დიაგნოსტიკური სერვისიდან საოპერაციო ბლოკამდე – სრულად პასუხობს თანამედროვე კლინიკური ბაზის მოთხოვნებს. გამოვყოფდი საოპერაციო ბლოკს თავისი აღჭურვილობით: ინსტრუმენტებით, აპარატურით, სადაც ყველა პირობაა შექმნილი ურთულესი ქირურგიული მანიპულაციების წარმართვისთვის.

აღსანიშნავია სასწავლო ოთახების, აუდიტორიების მოხერხებული განლაგება, სადაც პერმანენტულად მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. ჩვენი საგანი არჩევითია და, ძირითადად, მეექვსეკურსელებთან გვიხდება მუშაობა. შესამჩნევია ბევრი მათგანის დაინტერესება სხვადასხვა პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით. მისასალმებელია მათი სურვილი და მოწადინება კლინიკური უნარ-ჩვევების ათვისების თვალსაზრისით: პაციენტთან ინტერვიუირება, გასინჯვები, მანიპულაციების წარმოება და სხვა.

ყველაზე მნიშვნელოვანი მედპერსონალის მაღალკვალიფიციურობაა. დეპარტამენტში მუშაობს ოთხი ექიმი-პროქტოლოგი, რომელთა პროფესიონალიზმი და გამოცდილება განაპირობებს კლინიკური საქმიანობის წარმატებულ წარმართვას. აღსანიშნავია ანესთეზიოლოგიური სამსახურის მაღალპროფესიონალიზმიც. ასევე უნდა ითქვას ახალგაზრდა ექთნების შესახებაც, რომლებიც პროფესიული ზრდის დიდ სურვილსა და ძალისხმევას ავლენენ. მათ ხშირად უტარდებათ ტრენინგები როგორც პაციენტის ოპერაციული მომზადების და პოსტოპერაციული მართვის, ისე სამედიცინო ეთიკის საკითხებთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანი და აუცილებელია აქტიური თანამშრომლობა ყველა მომიჯნავე დარგის სპეციალისტთან. ჩვენ მიერ უკვე წარმოებულია პირველი ოპერაციები. იმედის თვალით შევყურებთ მომავალს.

**„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია დიდ მადლობას უხდის თსსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ფოტომასალით უზრუნველყოფისთვის და პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორის თანაშემწეს, ქალბატონ ნათა გოგავას, გაწეული დახმარებისთვის.**

„სამედიცინო გაზეთის“
რედაქცია:
ვაჟა ფშაველას გამზირი №33;
ოთახი №415
ტ.: 254-24-64

რედაქტორი
**დალი გაბეშია**
ტ.: 599 76-25-98
579 99-98-09
კორესპონდენტები:
**მანანა ფხალაძე**
ტ.: 555 29-98-27
**დარეჯან კომლაძე**
ტ.: 558 17-08-47
**ნატო ბოლქვაძე**
ტ.: 555 28-28-97
ელ.ფოსტა:
medpressa@yahoo.com

ანესთეზიოლოგია

# პერიფერიული რეგიონული გაუტკივარების ახალი ეტაპი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში ჩატარდა ახალი ულტრასონოგრაფიული აპარატის – **eZono 4000**-ის პრეზენტაცია. პრეზენტაცია გახსნა თსსუ-ის ვიცე-რექტორმა **კახაბერ ჭელიძემ**, რომელმაც ისაუბრა თანამედროვე მედიცინაში მიზანმიმართული ნემსის ვიზუალიზაციის მეთოდის მნიშვნელობაზე, აღნიშნა, რომ ახალი ინოვაციური საშუალება საჭირო და აუცილებელია. პრეზენტაცია წარმოადგინა გაყიდვების მენეჯერმა **კრისტიან ტემბააკმა**: „eZono 2005 წელს გერმანიაში დაარსდა. ინოვაცია ექოსკოპიის მიმართულებით ანესთეზიის კუთხით დანერგეს, რომელსაც ანალოგი არ აქვს მსოფლიოში“.






არსებული ექოსკოპიური აპარატებისგან განსხვავებით, კომპანიამ დახვეწა ახალი აპარატი, რომელიც გათვლილია ქრონიკული ტკივილის სინდრომზე. საანესთეზიო მანიპულაციებისას აპარატის გამოყენება აადვილებს ექიმის მუშაობას, ამცირებს პაციენტისთვის რისკს, მანიპულაციების 98% წარმატებულია. ზოგად ანესთეზიოლოგიასთან შედარებით, ამ მეთოდით იზოგება მატერიალური სახსრები. იგი უსაფრთხოა პაციენტისთვის. რეგიონული გაუტკივარების ჩასატარებლად იყენებენ კომპიუტერულ ტომოგრაფიას, რენტგენოდიაგნოსტიკას და ულტრასონოგრაფიულ გამოკვლევას. უნდა მოხდეს იმ ნერვული წნულის აღმოჩენა, რომელიც გარკვეულ უბანში ტკივილზე არის პასუხისმგებელი. აპარატის მთავარი პლიუსია ის, რომ კომპანია eZono-მ მიაგნო ახალ ტექნოლოგიას – თუ როგორ გახადოს უბრალო და იაფფასიანი ნემსი ექოსკოპიურად ხილვადი. ახალი აპარატით შესაძლებელია, როგორც ქსოვილების, ისე ნემსის დანახვა.

თსსუ-ის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში პირველად დაინერგება ეს ტექნოლოგია, შეიქმნება



სასწავლო ბაზა, რომლითაც ისარგებლებენ დაინტერესებული პირები. რამდენიმე საათიანი ტრეინინგი ახალი მეთოდის ათვისების საშუალებას იძლევა.

თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის თანამშრომელთათვის კრისტიან ტემბააკმა ჩაატარა სონოგრაფიული ვიზუალიზაციის პრაქტიკული ჩვენება.